



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეჯვრისხევი

მეჯვრისხევი, გორის მუნიციპალიტეტის სოფლების - [დიდი მეჯვრისხევისა](#) და [პატარა მეჯვრისხევის](#) გავრცელებული სახელწოდება.

სოფლის ძველი სახელი ყოფილა მეჯვდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, დაბა მეჯვდისგან წარმომდგარა მდინარის სახელი მეჯვდა, ანუ მეჯუდა. თავის მხრივ სახელწოდება „მეჯვრისხევი“ ფონეტიკური სახეცვლილების შედეგად მიღებულია მეჯვდისხევისგან. სოფ. მ-ის იმ ნაწილს, რ-იც მდებარეობს მდ. მეჯუდის მარცხ. მხარეს, ჰქვია დიდი მ., ხოლო მარჯვ. მხარეს მდებარეს - პატარა მ.

მ-ის ტერიტ-ზე ადამიანი ადრებრინჯაოს ხანიდან უწყვეტად სახლობს. მ. მდებარეობს მნიშვნელოვანი ეკონ. რ-ნის ცენტრში. მის სიახლოვეს სათავეს იღებდა არხები, რ-ებიტაც ირწყვებოდა ტირიფონის ნაყოფიერი ველი. იქ იკვთებოდა ქვეყნის მნიშვნელოვანი მაგისტრალები. მ. ახალგორთან ერთად იყო ქსნის საერისთავოს სავაჭრო ცენტრი. აქ არსებული ორ სამღებროდან ერთი მ-ში ფუნქციონირებდა.

ადრეფეოდ. ხანაში მ. ადმინისტრაციულად ქსნისხევში შედიოდა, ხოლო განვით. ფეოდ. ხანასა და გვიან შუასაუკუნეებში - ქსნის საერისთავოში. მ. იყო საზღვარი ქსნის საერისთავოსა და საამილახვროს შორის, ამიტომ მ-ში ერისთავების გარდა ყმები ეკუთვნოდათ ამილახვრებსაც. ქსნის ერისთავისშვილთა ერთ-ერთი რეზიდენცია მდებარეობდა მ-ში. 1578 ქართლის მეფე სიმონმა ჩადენილი დანაშაულისათვის ქსნის ერისთავს წართვა მ., რ-იც მათ კვლავ დაიბრუნეს. ერეკლე II-ის ბრძანებით მ. საპატიო ადგილს იკავებს შიდა ქართლში ლეკთა თარემის წინააღმდეგ განხორციელებულ ღონისძიებებში. 1777 ქსნის საერისთავოს ლიკვიდაციის შემდეგ ერეკლე II-მ ერისთავებს

ზოგ სხვა სოფელთან ერთად მ-ც დაუტოვა. 1790 მ. ბაგრატ ბატონიშვილის ხელში გადავიდა. თუმცა 1801 კვლავ დაუბრუნეს ერისთავებს. მეჭუდისა და მ-ის მოურავები იყვნენ ბეგიაშვილები.

მ-ში შემორჩენილია ქსნის ერისთავთა ციხე-გალავანი, ნათლისმცემლის, კვირაცხოვლის, წმ. გიორგის, ღვთისმშობლის, ლომისის ეკლესიები, აგრეთვე ფუნქციონირებს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახლ-მუზეუმი.

სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

ლიტ.: გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევები, თბ., 1983; გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

ჯ. გვასალია
